GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ
კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 25 Aralık /დეკემბერი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 696.2	5.0 %	11.6 %	3.8 %

Parlamento, Bakanlar Kurulu'na ve hükümet programına duyduğu güveni dile getirdi

პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტს და სამთავრობო პროგრამას ნდობა გამოუცხადა

Parlamento, Bakanlar Kurulu'na ve hükümet programına duyduğu güveni dile getirdi.

Giorgi Gakharia ve bakanlık adayları 85 oyla oybirliğiyle desteklendi, ardından İstiklal Marşı çalındı. Görüşme, "Gürcü Rüyası" grubu üyelerinin katılımıyla Parlamento'nun olağanüstü oturumunda yapıldı. Bakanlar Kurulu'nun yeni yüzü sadece Adalet Bakanı. Gakharia, diğer tüm pozisyonlarda, önceki kabinenin bakanlarını parlamentoya aday gösterdi.

Bakanlar Kurulu şunları onayladı:

Başbakan - Giorgi Gakharia

Bölgesel Kalkınma ve Altyapı Bakanı - Maia Tskitishvili

Adalet Bakanı - Gocha Lortkipanidze

İçişleri Bakanı - Vakhtang Gomelauri

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı - Natia Turnava

Dışişleri Bakanı - David Zalkaliani

Maliye Bakanı - Ivane Machavariani

Eğitim, Bilim, Kültür ve Spor Bakanı - Mikheil Chkhenkeli

İşgal Altındaki Topraklardan Ülke İçinde Yerinden Edilmiş Kişiler, Çalışma, Sağlık ve Sosyal İşler Bakanı - Ekaterine Tikaradze

Çevre Koruma ve Tarım Bakanı - Levan Davitashvili

Savunma Bakanı - Irakli Gharibashvili

Uzlaşma ve Toplumsal Eşitlik Devlet Bakanı - Tea Akhvlediani.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

მინისტრთა კაბინეტს და სამთავრობო პროგრამას პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა. გიორგი გახარიასა და მის მიერ წარდგენილ მინისტრობის კანდიდატებს 85 ხმით, ერთხმად დაუჭირეს მხარი, რის შემდეგაც სახელმწიფო ჰიმნი შესრულდა. განხილვა პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრების მონაწილეობით წარიმართა. მინისტრთა კაბინეტის ახალი სახე მხოლოდ იუსტიციის მინისტრია. ყველა სხვა თანამდებობაზე გახარიამ პარლამენტს წინა კაბინეტის მინისტრები შესთავაზა.
მინისტრთა კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით დაამტკიცეს:
პრემიერ-მინისტრი - გიორგი გახარია
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი - მაია ცქიტიშვილი
იუსტიციის მინისტრი - გოჩა ლორთქიფანიძე
შინაგან საქმეთა მინისტრი - ვახტანგ გომელაური
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - ნათია თურნავა
საგარეო საქმეთა მინისტრი - დავით ზალკალიანი
ფინანსთა მინისტრი - ივანე მაჭავარიანი
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი - მიხეილ ჩხენკელი
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ეკატერინე ტიკარაძე
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - ლევან დავითაშვილი
თავდაცვის მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - თეა ახვლედიანი.

Kurumlararası Koordinasyon Kurulu
უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭო

Kurumlar Arası Koordinasyon Konseyi, kısıtlamaların azaltılması ve aşılama aşamasına hazırlık süreci ışığında oluşturulan düzenlemelerin uygulanması üzerindeki sıkı denetimi gözden geçirdi.

Başbakan Giorgi Gakharia başkanlığındaki Kurumlar Arası Koordinasyon Konseyi'nin bugünkü toplantısında hükümetin getirdiği kısıtlamaların hafifletilmesi, yerleşik yönetmeliklerin uygulanması üzerinde sıkı denetim, epidemiyolojik durumun göreceli olarak istikrar kazanması ve aşılama aşamasına hazırlık süreci tartışıldı.

Hastane sektöründeki boş yatak durumu hakkında ayrıntılı bilgi alınan konsey, Sağlık Bakanlığı'na göre şu anda ülke genelindeki kliniklerde 1664 boş yatak bulunmakta ve bu da hastanede yatmayı gerektiren ciddi vakaların olmadığını göstermektedir.

Terapötik unsurların artırıldığı ve oksijen beslemesinin sağlandığı klinik otel sisteminin etkin işleyişi vurgulandı. Buna ek olarak, birçok klinik otel, hastaların sağlık durumunun daha da iyi izlenmesini sağlayan belirli klinikler tarafından işletilmektedir.

Konsey toplantısında aşılama sürecinin sorunsuz bir şekilde uygulanmasını sağlamak için devam eden çalışmalar ve bu konuda Başbakan tarafından oluşturulan özel bir komisyonun gerek aşının

zamanında teslimi gerekse altyapı ve lojistik açısından attığı adımlar üzerinde duruldu. Bunlardan komisyon, önce hangi grupların aşılanması gerektiğini belirlemek için yoğun bir şekilde çalışıyor. COVAX platformuna ek olarak, aşının ilk dozlarının ülkenin mümkün olan en kısa sürede alınmasını sağlamak için, uluslararası ortaklar ve aşı üreticileri ile Devlet, Dışişleri Bakanlığı ve yurtdışındaki Gürcistan diplomatik misyonlarının katılımıyla görüşmeler devam etmektedir.

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეზღუდვების შემსუბუქების ფონზე დადგენილი რეგულაციების აღსრულების მკაცრი კონტროლი და ვაქცინაციის ეტაპისთვის მზადების პროცესი განიხილა.

საბჭომ დეტალური ინფორმაცია მიიღო ჰოსპიტალურ სექტორში თავისუფალი საწოლების კუთხით არსებულ ვითარებასა.ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით ქვეყნის მასშტაბით კლინიკებში 1664 თავისუფალი საწოლია, რაც ამავდროულად იმაზე მიუთითებს, რომ არ ფიქსირდება მძიმე შემთხვევები, რომლებსაც ჰოსპიტალიზაცია სჭირდებათ.ხაზი გაესვა კლინიკური სასტუმროების სისტემის ეფექტურ მუშაობას, სადაც გაძლიერებულია თერაპიული ელემენტები და უზრუნველყოფილია ჟანგბადის მიწოდება. გარდა ამისა, ბევრ კლინიკურ სასტუმროს მართავენ კონკრეტული კლინიკები, რაც კიდევ უფრო უკეთ უზრუნველყოფს პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგს.

საბჭოს სხდომაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კოვიდვაქცინაციის პროცესის შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე სამუშაოებს და ამ თემაზე პრემიერ-მინისტრის დავალებით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, როგორც ვაქცინის დროული შემოტანის, ისე ინფრასტრუქტურული და ლოგისტიკური კუთხით. მათ შორის კომისია ინტენსიურად მუშაობს კრიტერიუმების დადგენაზე, პირველ რიგში რომელი ჯგუფები უნდა აიცრან. ამასთან, როგორც ცნობილია, გარდა COVAX პლატფორმისა, აქტიურ ფაზაშია მოლაპარაკებები საერთაშორისო პარტნიორებთან და ვაქცინის მწარმოებლებთან, რომელსაც სახელმწიფო, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ჩართულობით აწარმოებს, რათა ქვეყანამ ვაქცინის პირველი დოზები რაც შეიძლება ადრე მიიღოს.

AK YIL ZEMIN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

„TAV Urban Georgia'"nın yeni Genel Müdürü ile görüşme
შეხვედრა „ტავ ურბან ჯორჯიას"გენერალურ დირექტორთან

Natia Turnava, Tiflis ve Batum Uluslararası Havalimanları'nın yönetici şirketi TAV Urban Georgia'nın yeni Genel Müdürü Alp Er Tunga Ersoy ile bir araya geldi.

Görüşmede taraflar, gelecekteki işbirliği planlarını, koronavirüs pandemisinin havacılık alanında yarattığı zorlukları ve bunları çözme yollarını tartıştı. Ekonomi Bakanı, Gürcistan tarafı ile "TAV Urban Georgia" arasındaki yakın işbirliğini vurguladı.
Görüşmelerde, TAV Georgia'nın 17 milyon $ yatırım yapacağı Batum Uluslararası Havalimanı genişletme projesi de ele alındı. Altyapı çalışmaları 2021'de tamamlanacak. Genişlemenin ardından Batum Uluslararası Havalimanı yılda 1.200.000 yolcuya hizmet verecek. Toplantıya Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Akaki Saghirashvili ve TAV Urban Georgia Genel Müdürü Yardımcısı Tea Zakaradze da katıldı.

ნათია თურნავა თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მმართველი კომპანია „ტავ ურბან ჯორჯიას" ახალ გენერალურ დირექტორს ალფ ერ ტუნგა ერსოის შეხვდა.
შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, კორონავირუსის პანდემიის შედეგად ავიაციის სფეროში შექმნილი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები განიხილეს. ეკონომიკის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა ქართულ მხარესა და „ტავ ურბან ჯორჯიას" შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა.
საუბარი ასევე შეეხო ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოების პროექტს, რომელშიც „ტავ ჯორჯია" 17 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. ინფრასტრუქტურული სამუშაოები 2021 წელს დასრულდება. გაფართოების შემდგომ, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი წელიწადში 1 200 000 მგზავრს მოემსახურება.
შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აკაკი საღირაშვილი და „ტავ ურბან ჯორჯიას" გენერალური დირექტორის მოადგილე თეა ზაქარაძე.

Gürcistan'da inşaat maliyet endeksi
2020'nin III çeyreği
მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
2020 წლის III კვარტალი

İnşaat maliyet endeksi bir önceki çeyreğe göre% 4,2 arttı. Değişikliğin temel nedeni, inşaat sektöründe çalışanların aylık ortalama nominal ücretlerindeki yüzde 15,6'lık artıştan kaynaklanıyor ve bu, toplam endeksteki değişime 3,94 yüzde puan katkıda bulundu. İnşaat maliyet endeksi bir önceki yılın aynı dönemine göre% 1,8 arttı. Endeksteki artışın başlıca nedeni, inşaat malzemeleri fiyatlarındaki yüzde 6,3'lük artıştan kaynaklanıyor. Bu artış, endekste 3,49 puanlık değişime yansımıştır.

მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან შედარებით 4.2 % ით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 15.6 პროცენტიანი ზრდით, რამაც 3.94 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში. წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 1.8 % ით. ინდექსის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 6.3 პროცენტიანი ზრდით, რაც 3.49 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე.

İnşaat maliyet endeksi
მშენებლობის ღირებულების ინდექსი



Korona Virüs

კორონა ვირუსი

Gürcistan'da koronavirüs vakalarında düşüş eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 14 721'e ulaştı (ortalama: 2103 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 218 724'e ulaştı. Can Kaybı – 2 313, iyileşenlerin sayısı – 196 220, aktif vaka ise – 20 191. Halihazırda hastanelerde 5969, otellerde ise 1542 kişi tedavi görüyor, 396 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 1 876 048 test yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 80 milyona yaklaşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 79 807 969, Can Kaybı – 1 750 901, iyileşen kişi sayısı – 56 194 066. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya, Fransa ve İngiltere de görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების დაღმავალი ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 14 721-ს უტოლდება (2103 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 218 724 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 2313, გამოჯანმრთელდა 196 220 , ხოლო 20 191 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 5969 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1542 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 396 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 1 876 048 ტესტი გაკეთდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 80 მილიონს მიუახლოვდა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 79 807 969 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 1 750 901, ხოლო გამოჯანმრთელდა 56 194 066 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთს, საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთს ჰყავს. საკითხთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka დაავადებული	Can Kaybı გარდაცვლილი	İyileşme გამოჯანმრთელებული	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	19 111 326	337 066	11 219 123	7 555 137
Hindistan/ ინდოეთი	10 147 468	147 128	9 717 834	282 506
Brezilya / ბრაზილია	7 425 593	190 032	6 449 822	785 739
Rusya / რუსეთი	2 992 706	53 659	2 398 254	540 793
Fransa / საფრანგეთი	2 527 509	62 268	188 639	2 276 602
İngiltere / დიდი ბრიტანეთი	2 188 587	69 625	N/A	N/A
Türkiye / თურქეთი	2 100 712	19 115	1 935 292	146 305
Italya / იტალია	2 009 317	70 900	1 344 785	593 632
Ispanya / ესფანეთი	1 869 610	49 824	N/A	N/A
Almanya / გერმანია	1 614 326	29 681	1 184 400	400 245
Gürcistan / საქართველო	218 724	2 313	196 220	20 191
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	79 807 969	1 750 901	56 194 066	21 863 002

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.2703 TRY/GEL – 0.4282 EUR/GEL – 3.9881 GBP/GEL – 4.4515

USD/GEL

18 – 25 Aralık 2020

USD/TRY

18 – 25 Aralık 2020

TRY/GEL

18-25 Aralık 2020

ALTIN – 60, 424.69 kg/usd

18-25 Aralık 2020

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası